

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #63

ქ. თბილისი

2025 წელი, 20 მაისი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ზურაბ აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარის მ/შ), გიორგი ტყეშელაშვილი, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე, თამარ ხვედელიანი, საბა ბუაძე, ლილე ლიპარტელიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:

მამუკა გუგუშვილი, (03-0325139112), შოთა გრიგოლია (03-03251382), ნინო წულაძე (03-032514159 -21/05/2025)

სხდომის თავმჯდომარე:

ზურაბ აბაშიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ლევან მიქაია - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ნინო ზაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

№	საკითხის დასახელება
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (საკრებულოს №12-032513953-03 - 19.05.2025)
2.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.146, ფართობი - 6 000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032511218-03 22.04.2025)

3.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ზოქორიშვილის ქუჩა №13, I გასასვლელი №1; №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.837, საერთო ფართობი - 1 335 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512115-03 01.05.2025)
4.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ზოვრეთის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.12.035.015, ფართობი - 485 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512118-03 01.05.2025)
5.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, №11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.16.015.575, ფართობი - 2348 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512571-03 05.05.2025)
6.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი №48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.17.034.005, ფართობი - 1023 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512817-03 08.05.2025)
7.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქუჩა №72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.12.043.016, ფართობი - 466 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512818-03 08.05.2025)
8.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №21ა; ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.033, ფართობი - 1 442 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512813-03 08.05.2025)
9.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, №34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.18.01.003.152, ფართობი - 4 876 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512814-03 08.05.2025)

10.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512815-03 08.05.2025)
11.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე (საკრებულოს №12-032513538-03- 15.05.2025)
12.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032510740-03 17.04.2025; №12-032511417-03 24.04.2025; №12-032511418-03 24.04.2025; №12-032512117-03 01.05.2025; №12-032512116-03 01.05.2025; №12-032512816-03 08.05.2025; 12-032513519-03 -15.05.2025; 12-032507222-03 - 13.03.2025 გადადებული „დ“ პოზიციას)
13.	„ქალაქ თბილისში, გლდანის III მკრ-ის მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.301) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №15-032513543-03 -15.05.2025)
14.	ქალაქ თბილისში, სოფელი წავეისი, მაროჯანის ქუჩა, №26-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: №01.81.02.355.069) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №16-032512215-03 02.05.2025)
15.	ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ქოშიგორაზე; ქალაქ თბილისში, უდაბნოს მონასტრის ქუჩა №58, №62, №64, №66; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ნატბეურში; ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ნატბეურებში; ქალაქ თბილისში, დიღომში, ქოშიგორა, ნატბეურებში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.72.14.045.608; №01.72.14.045.023; №01.72.14.045.024; №01.72.14.045.019; №01.72.14.045.017; №01.72.14.045.016; №01.72.14.045.015; №01.72.14.045.020; №01.72.14.045.026; №01.72.14.045.359; №01.72.14.045.358; №01.72.14.045.022; №01.72.14.045.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032513324-03 13.05.2025)
16.	ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა, №36-ში (ნაკვ. 07/029); ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.10.007.061; №01.10.10.007.080; №01.10.10.007.081) მრავალბინიანი საცხოვრებელი

	კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032513327-03 13.05.2025)
17.	ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.237; N01.14.16.009.490-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №15-032513545-03 -15.05.2025)
18.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, დემეტრე თავდადებულის II შესახვევი, N12; N14; ქალაქი თბილისი, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: NN81.02.98.426; 81.02.95.257; 81.02.39.135; 81.02.05.709; 81.02.39.039; 81.02.05.758; 81.02.05.932; 81.02.05.933; 81.02.05.934; 81.02.05.710; 81.02.05.905; 81.02.05.713; 81.02.95.038; 81.02.05.918; 81.02.05.499; 81.02.05.820; 81.02.95.112; 81.02.95.110; 81.02.94.609; 81.02.95.093; 81.02.06.621; 81.02.94.442; 81.02.94.443; 81.02.94.444; 81.02.05.693; 81.02.94.441; 81.02.94.445) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკ-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №15-032513542-03 -15.05.2025)
19.	ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.20.030; N72.16.17.958) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032513541-03 -15.05.2025)
20.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში; ქალაქი თბილისი, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.81.02.365.106; N01.81.02.365.105; N01.81.02.365.107) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032513537-03-15.05.2025)
21.	ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.58.046.002; N01.72.58.046.003-ის ნაწილი; 01.72.58.035.003-ის ნაწილი) სააგარაკ-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03251367-03 -16.05.2025)
22.	ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა და გლდან-დიდმის შემავრთველი გზის მიმდებარე, ნაკვ.03/014; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 105; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა, N 70ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.009.004; N01.13.01.009.083; N01.13.01.003.022; N01.13.01.009.005; N01.13.01.010.088) მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032513617-03- 16.05.2025)

23.	ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.342) ნავთობბაზის სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032513618-03-16.05.2025)
-----	---

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (საკრებულოს №12-032513953-03 - 19.05.2025)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქაიამ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები - 8 799,0 ათასი ლარით და მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 10 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 13 799,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 209 347,5 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები - 200,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 14 500,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - 1 300,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 250,0 ათასი ლარით, უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) - 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 400,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 500,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა კრწანისი რაიონში (კოდი 02 09 18) - 150,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობითა და ამაღანობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლეოზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) - 700,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე

ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 100,0 ათასი ლარით, ბუბუს კიბოს სამკურნალო
 მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 300,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06
 01 13) – 500,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18
 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 100,0 ათასი
 ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) – 100,0
 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი
 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიზლითოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა
 (კოდი 07 03 03) – 427,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა
 (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 300,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების
 ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნებები – 400,0 ათასი ლარით, სპორტული
 ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 2 500,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების
 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 1 578,8 ათასი
 ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 400,0 ათასი ლარით,
 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09)
 – 150,0 2 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები
 მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 50,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 4
 000,0 ათასი ლარით, მცირდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის
 ასიგნებები – 21 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01
 17) – 25,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05)
 პროგრამის ასიგნებები – 900,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 10 756,8
 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის
 რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები – 25,0 ათასი ლარით, ასევე, წარმოდგენილ
 პროექტში ასახულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით
 გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
 მთავრობის 2025 წლის 17 აპრილის N25.642.719 განკარგულების ნაწილი, რომლის თანახმად ქალაქ
 თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის -
 ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების
 გამაგრება/ ჩანაცვლება ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების
 ჩამონათვალში პროგრამას - საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების
 პროექტირება, მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) სახელწოდება შეეცვალა და
 განაწილდა შემდეგ ქვეპროგრამებად: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის
 ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) და სადგურის მოედნისა
 და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა
 (კოდი 02 01 02), ხოლო პრიორიტეტის - ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი
 ორგანოები ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჩამონათვალში პროგრამა - მერიის
 ადმინისტრაცია (კოდი 10 02) განაწილდა შემდეგ ქვეპროგრამებად: მერიის ადმინისტრაციის
 ხარჯები (კოდი 10 02 01) და საოფისე ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების
 ცენტრის პროექტირება - მშენებლობა (კოდი 10 02 02) (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 2025 წლის 15 აპრილის N91
 სხდომის ოქმი). გარდა ამისა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო
 (კოდი 10 21) პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომუშავეთა
 რიცხოვნობა 9 ერთეულით, ხოლო მუნიციპალური ინსპექციის (კოდი 10 07) მომუშავეთა
 რიცხოვნობა მცირდება 2 ერთეულით („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
 სტრუქტურული ერთეულების სამტაბო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-31 დადგენილება). შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 7 ერთეულით და განისაზღვრა 4970 ერთეულით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 997 577,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 211 770,6 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 917 577,0 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: მ გადასახადები 987,349,2 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 255 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 45 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი - 20 000,0 ათასი ლარი; 3 - დამატებული ღირებულების გადასახადი - 667 349,2 ათასი ლარი. გრანტები 594 813,2 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 430,0 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსაზღვრულიდან 1 083,2 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 580 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 13 300,0 ათასი ლარი. მ სხვა შემოსავლები 335 414,6 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან - 24 799,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 50 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 95 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 115 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 23 791,4 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები - 26 824,2 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 209 347,5 ათასი ლარით, მათ შორის: მ ხარჯები განსაზღვრულია - 1 702 412,1 ათასი ლარი; მ არაფინანსური აქტივების ზრდა - 462 480,1 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 44 455,3 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 215 164,9 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 382 480,1 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა - 462 480,1 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება - 80 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (211 770,6) ათას ლარს, მათ შორის: - ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილება) - 211 770,6 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (44 455,3) ათას ლარს, მათ შორის: - ვალდებულებების კლება 44 455,3 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (167 315,3) ათასი ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

- კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.146, ფართობი - 6 000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032511218-03 22.04.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, : ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 17 თებერვლის N01250482114-67 (N01250692659-67; N01250873843-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.16.008.146 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/რანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.14.16.008.146 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა. რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები; დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0.5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 = 2.5 მიწის ნაკვეთის გაშენების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0.3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30* მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს. N01.14.16.008.146 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 თებერვლის N5808076 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=2.5), ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის N7339475 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 17 მარტის N7414153 ბრძანებით) შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.5) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.1-მდე, რაც გულისხმობს 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 14 (თოთხმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01250482114-67 (N01250692659-67; N01250873843-67)

განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001824525, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 25 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 7 827 141 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსახდერა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის სამეომოსავლო ნაწილის ზრდა - 1 878 513.84 (ერთი მილიონ რვაას სამოცდათვრამეტი ათას ხუთას ცამეტი და ოთხმოცდაოთხი მესამედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ზუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა №13, I გასასვლელი №1; №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.837, საერთო ფართობი - 1 335 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512115-03 01.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 10 დეკემბრის N01243452925-67 (N01243513403-67; N01250203592-67; N01250383202-67; N01250661255-67) განცხადებით მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა N13, I გასასვლელი N1; N11-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.837) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.11.12.018.837 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.7), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, N01.11.12.018.837 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული

პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 თებერვლის N6881911 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 18 თებერვლის N7382851 ბრძანებით), N01.11.12.018.837 საკადასტრო ერთეულზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსებისთვის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ის პარამეტრებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გა-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%- ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1=0,5$ * / $0,7$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $k-2=3,5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $k-3=0,2/0,3$ მინიმალური ფართობი $600/700$ კვ.მ მინიმალური სიგანე $15/20$ მეტრი მინიმალური სიღრმე $25/30$ მეტრი შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 31 მარტის №01. 01250906 ბრძანებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.837) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2=3,5$ -დან $k-2=4,7$ -მდე, რაც გულისხმობს 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და ჯამში 10 (ათი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01243452925-67 (N01243513403-67; N01250203592-67; N01250383202-67; N01250661255-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N000732925, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 599 330 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის

ზრდა - 548,341.72 (ზუთას ორმოცდარვა ათას სამას ორმოცდაერთი და სამოცდათორმეტი მეასედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ზუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/რანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ზოვრეთის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.12.035.015, ფართობი - 485 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512118-03 01.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 18 მარტის N01250773288-67 (N01251122888-67, N01251141437-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზოვრეთის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.12.035.015) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.10.12.035.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ აგარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/რანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.10.12.035.015 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) არის დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) ეთანხმებით დაშვებული სახეობები. დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების

ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $კ-2 = 1.5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $კ-3 = 0.3$ მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 300/ 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 9 / 12* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 20 / 25* მ შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე - 15**/17** * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის, ** კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა, *** გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონისა, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 12 მარტის N7405158 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის ($კ-2=1.5$). დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($კ-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $კ-2=1.5$ -დან $კ-2=3.0$ -მდე, რაც გულისხმობს 3 (სამი) სართულის დამატებასა და 6 (ექვს) სართულიანი შენობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლისა და სართულიანობის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01250773288-67 (N01251122888-67, N01251141437-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N000783925, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 689 700 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 689,700.00 (ექვსას ოთხმოცდაცხრა ათას შვიდასი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი საჭიროებს დამატებით შესწავლას და აღნიშნული შენიშვნით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, №11-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.575, ფართობი - 2348 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512571-03 05.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 7 აპრილის N0125097993-67 (01251132523-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, N11-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.575) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.16.015.575 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით, N01.14.16.015.575 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 თებერვლის N7392101 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის (კ-2=2.5). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) -ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე, დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 2,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15 / 20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25* / 30* მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს 9 (ცხრა) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N0125097993-67 (01251132523-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N002496125, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 22 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 3 035 964 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების

რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის საწარმოოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით გათვალისწინებული გადასახდელი ფასის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით: $X = L \cdot S \cdot (K2 - 1) / K2$ სადაც: ა) X არის ბიუჯეტში გადასახდელი ფასის ოდენობა; ბ) L არის 18 2 მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი; გ) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი. დ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; ე) K2 1 არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.კ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39¹ და 39² მუხლების საფუძველზე და N0125097993-67 (01251132523-67) განცხადებების გათვალისწინებით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 607,192.80 (ექვსას შვიდი ათას ას ოთხმოცდათორმეტი და ოთხმოცი მესამედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ზუაშემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, თემქის დასახლება, III მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი №48-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.034.005, ფართობი - 1023 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512817-03 08.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, : ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 1-ლი მაისის N01251211250-67 (N0125125438-67; N01251254412-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება, III მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი N48-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.034.005) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.11.17.034.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.6), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.11.17.034.005 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 ნოემბრის N7300634 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=2.1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 8 აპრილის N7441922 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.1) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 5 (სზ-5)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 2,1 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 - 0,3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 400* / 500 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 12* / 15 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 20* / 25 მ შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე - ** * ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის ** განისაზღვრება მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.1-დან კ-2=2.6-მდე, რაც გულისხმობს 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 7 (შვიდი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01251211250-67 (N0125125438-67; N01251254412-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N002089825, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 4 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 745 767.00 ლარს, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების

განსაზღვრა, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით გათვალისწინებული გადასახდელი ფასის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით: $X = L \cdot S \cdot (K2 - 1 - K2) / K2$ სადაც: ა) X არის ბიუჯეტში გადასახდელი ფასის ოდენობა; ბ) L არის 18 2 მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი; გ) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი. დ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; ე) K2 1 არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.კ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39 3 და 39 5 მუხლების საფუძველზე და N01251211250-67 (0125125438-67) განცხადებების გათვალისწინებით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 177,563.58 (ას სამოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას სამოცდასამი და ორმოცდათვრამეტი მესხედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქუჩა №72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.12.043.016, ფართობი - 466 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512818-03 08.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 14 აპრილის N01251043670-67 (N01251263217-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ოთარ ონიაშვილის ქუჩა N72-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.12.043.016) შესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.10.12.043.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.10.12.043.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის N5147934 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ($\gamma=2=2.5$). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 6 აგვისტოს N801.01192185 ბრძანებით (ცვლილება შევიდა 2024 წლის 10 სექტემბრის N801.012425415 ბრძანებით) გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ოფისის განთავსებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით. 2024 წლის 7 ოქტომბრის N7242798 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 10 სექტემბრის N801.012425415 ბრძანებაში და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დაფიქსირდა ოფისის მშენებლობის მიზნით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/ დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) -ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $\gamma-1=0,5$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $\gamma-2=2,5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $\gamma-3=0,3$ მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - $600 / 700^*$ კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - $15 / 20^*$ მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - $25 / 30^*$ მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($\gamma-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $\gamma-2=2.5$ -დან $\gamma-2=3.4$ -მდე, რაც გულისხმობს 7 (შვიდ) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01251043670-67 (N01251263217-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N002851725, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 6 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 101 168 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ

ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით გათვალისწინებული გადასახდელი ფასის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით: $X = L \cdot S \cdot (K2 - 1 - K2) / K2$ სადა: ა) X არის ბიუჯეტში გადასახდელი ფასის ოდენობა; ბ) L არის 1 მ 2 მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი; გ) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი; დ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; ე) K2 1 არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.კ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39.3 და 39.5 მუხლების საფუძველზე და N 01251043670-67 (01251263217-67) განცხადებების გათვალისწინებით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 396,420.48 (სამას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ოთხას ოცი და ორმოცდარვა მესამედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ზუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი საჭიროებს დამატებით შესწავლას და აღნიშნული შენიშვნით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

8. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №21ა; ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.033, ფართობი - 1 442 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512813-03 08.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 1-ლი აპრილის N01250914060- 67 (N01251203727-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21ა-ში; ქალაქ თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N21-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.033) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.14.011.033 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=6.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი

ფასის გადახდაზე. N01.14.14.011.033 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივსაქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 90%-ისა. დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1 = 0.5 \cdot / 0.7$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $k-2 = 3.5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $k-3 = 0.2 / 0.3$ მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - $600 / 700$ კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - $15 / 20$ მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - $25 / 30$ მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 8 ოქტომბრის N4012 ბრძანებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ($k-2=4.2$) მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4904974 ბრძანებით (2023 წლის 12 ივნისის N6503077 ბრძანებით შევიდა ცვლილება) დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ($k-2=4.2$). საპროექტო მიწის ნაკვეთზე გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 მაისის N801.012314519 ბრძანება). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის N6534569 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი ($k-2=4.2$) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 7 ივნისის N801. 01231589 ბრძანებით შევიდა ცვლილება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 მარტის N801.01200783 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 25 მაისის N801.012314519 ბრძანებაში. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2=4.2$ -დან $k-2=6.4$ -მდე, რაც გულისხმობს 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია

გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01250914060-67 (N01251203727-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N002014625, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 10 092 558 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის საანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 5,286,578.00 (ხუთი მილიონ ორას ოთხმოცდაექვსი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარით.

ბმის მიცემისგან თავი შეიკავებს კომისიის წევრებმა გიორგი ტყეშელაშვილმა და თამარ ხუდელაიანმა. საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ბუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, №34-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.003.152, ფართობი - 4 876 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512814-03 08.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 31 მარტის N01250903396-67 (N01251251-67) განცხადებით მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.003.152) შესაკუთრებლად (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.18.01.003.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების საანაცვლოდ (კ-2=1.7), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, N01.18.01.003.152 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) არის დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1 = 0,5$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $k-2 = 1,5$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $k-3 = 0,3$ მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - $300 / 400 \cdot \text{კვ.მ}$ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - $9 / 12 \cdot \text{მ}$ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - $20 / 25 \cdot \text{მ}$ შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე - $15 \cdot \cdot / 17 \cdot \cdot \cdot$ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის; $\cdot \cdot$ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა; $\cdot \cdot \cdot$ გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონისა, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა; საპროექტო ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის N24.1322.1485 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს N428 განკარგულებით დამტკიცებულია საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ($k-2=1,5$), რომლითაც გათვალისწინებულია 3 (სამი) შენობა-ნაგებობის განთავსება (მაქსიმალური სიმაღლე: 5 მიწისზედა სართული). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 თებერვლის N7391834 ბრძანებით შეთანხმებულია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი ($k-2=1,0$) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2=1,5$ -დან $k-2=1,7$ -მდე, რაც გულისხმობს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ მესამე შენობაზე 1 (ერთი) სართულის დამატებასა და 6 (ექვს) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლისა და სართულიანობის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01250903396-67 (N01251251-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001784425, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 21 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 4 545 236 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების

შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 606,031.47 (ექვსას ექვსი ათას ოცდათერთმეტი და ორმოცდაშვიდი მესხედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ზუაძემ და ლილე ლიპარტიელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №2348-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებული ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032512815-03 08.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 23 მარტის N01250823-67 (N01251193446-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N2348-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.72.14.202.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.72.14.202.011 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/ დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) -ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 2,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,3 მიწის ნაკვეთის

მინიმალური ფართობი - 600 / 700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15 / 20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25 / 30* მ * მრავალზონიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს N01.72.14.202.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის N24.1664.1862 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N534 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალზონიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=2.5), დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე, „ა“ ზლოკზე - 6 (ექვსი) და „ბ“ ზლოკზე - 4 (ოთხი) მიწისზედა სართულების დამატებასა და 18 (თვრამეტ) სართულიანი და 16 (თექვსმეტ) სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით გასაზღვრული რეგულაციები. N01250823-67 (N01251193446-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001549025, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 12 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 5 691 726 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 2,276,690.40 (ორი მილიონ ორას სამოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაათი და ორმოცი შეასედი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ზუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე (საკრებულოს №12-032513538-03- 15.05.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 6 მაისის N01251263678-67 (N01251331181-67; N01251333166-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის N24-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.19.34.002.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების საწინააღმდეგოდ (კ-2=6.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.19.34.002.054 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივსაქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გვ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივსაქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,5 * / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=3.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2 / 0.3* მინიმალური ფართობი 600 / 700* კვ.მ მინიმალური სიგანე 15 / 20* მეტრი მინიმალური სიღრმე 25 / 30* მეტრი შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 1-ლი მარტის N6913986 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=3.5). აღნიშნულ ბრძანებაში 2024 წლის 28 ივნისის N7106549 ბრძანებით შევიდა ცვლილება და ფუნქციები განისაზღვრა შემდეგნაირად: საცხოვრებელი ფუნქცია - 90%; 10% - კომერციული/საოფისე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის N24.710.791 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N195 განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, თანხმობა მიეცა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების (კ-2=3.5-დან კ-2=6.5-მდე) საკითხს, თუმცა დაინტერესებულმა პირმა (ექვსი) 6 თვის ვადაში ვერ უზრუნველყო ხელშეწყობა ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით,

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/რანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდა. საპროექტო ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 ივნისის №801.012416517 ბრძანებით, გაცემულია მრავალზინიანი საცხოვრებელი სახლის (90%-ის) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 ნოემბრის №7300867 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალზინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ-2=6.5). მშენებლობის ნებართვა არ არის გაცემული. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადასტეგა კ-2=3.5-დან კ-2=6.5-მდე, რაც გულისხმობს 6 (ექვსი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 13 (ცამეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. №01251263678-67 (№01251331181-67; №01251333166-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა №002733425, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 1 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 595 979 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/რანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1,367,982.00 (ერთი მილიონ სამას სამოცდაშვიდი ათას ცხრაას ოთხმოცდაორი) ლარით.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა საბა ზუაძემ და ლილე ლიპარტელიანმა. ხმის მიცემისგან თავი შეიკავა თამარ ხვედელიანმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032510740-03 17.04.2025; №12-032511417-03 24.04.2025; №12-032511418-03 24.04.2025; №12-032512117-03 01.05.2025; №12-032512116-03 01.05.2025; №12-032512816-03 08.05.2025; 12-032513519-03 -15.05.2025; 12-032507222-03 - 13.03.2025 გადადებული „დ“ პოზიცია)

კომისიამ განიხილა თბილისის მერიის წერილებით (საკრებულოს №12-032510740-03 17.04.2025; №12-032511417-03 24.04.2025; №12-032511418-03 24.04.2025; №12-032512117-03 01.05.2025; №12-032512116-03 01.05.2025; №12-032512816-03 08.05.2025; 12-032513519-03 -15.05.2025; 12-032507222-03

-13.03.2025 გადადებული „დ“ პოზიცია) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაზე (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 27 წინადადება.

№12-032510740-03 17.04.2025;

ა) ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის ქუჩა, N32გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.049) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის შერეულ საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ განიხილა და 2025 წლის 3 აპრილის N12 ოქმით დადებითი შეფასება მისცა ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის ქუჩა, N32გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.049) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხს (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის N60-01250981586 (08.04.2025) წერილი). ორთოფოტოგეგმებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გაცემული ამონაწერებით/საკადასტრო გეგმებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო 1-2 სართულიანი შენობა-ნაგებობები (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის ქუჩა, N32გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.049) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პირობით მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, N20 კორპუსის მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.323) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და კომერციული შენობა-ნაგებობების მშენებლობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 26

მარტის N0125085231 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1), შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.17.10.002.323 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.17.10.002.323 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, N20 კორპუსის მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.323) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, გლდანისხევის ქუჩა, N7ა კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.002.288) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 15 აპრილს N01251053152 წერილით, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.11.05.002.288 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.11.05.002.288 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანისხევის ქუჩა, N7ა კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.11.05.002.288) და მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, გივი კვიჭიძის ქუჩა, N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.996) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის საცხოვრებელი

ფუნქციით განვითარება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). დღეის მდგომარეობით გავრცელებული ფუნქციური ზონის - სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ფარგლებში ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება არ იგეგმება, ვინაიდან მომიჯნავე და მიმდებარე ტერიტორია სამშენებლოდ განვითარებულია საცხოვრებელი ფუნქციით და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია საპროექტო ტერიტორიის ამავე ფუნქციით განვითარება. ამასთან, N01.72.14.013.996 საკადასტრო ერთეულს ორი შპრიდან ესაზღვრება სარეკრეაციო სივრცეები - სკვერები, რაც ხელს შეუწყობს ტერიტორიაზე ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) ინიციატივით, N01.72.14.013.996 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა, ასევე, სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება და N01.72.14.013.707 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე - სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი შესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გივი კვიჭიძის ქუჩა, N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.996), ასევე, N01.72.14.013.707 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 5-ითა (სზ-5) და სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

№12-032511417-03 24.04.2025;

ა) ქალაქ თბილისში, ტატა (ტატინა) თვალჭრელიძის ქუჩა N2; N4- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.234; N01.14.16.009.235) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო ფუნქციით განვითარება. ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ რეგისტრაციებზე დამუშავებული და შესაბამისი წესით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვით საპროექტო ზონირებად განისაზღვრა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). შესაბამისად, მათ შორის დარჩენილი ორ რეგისტრაციაზე არსებული სამრეწველო ზონა 1 (ს-1) წარმოადგენს ფრაგმენტულად გავრცელებულ ზონირებას, რომელთა სამრეწველო ფუნქციით სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი მახასიათებლების, მიმდებარე გარემო-განაშენიანებისა და სამომავლო განაშენიანების გათვალისწინებით მისაღები არ არის. შესაბამისად, მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:

N01.14.16.009.234; N01.14.16.009.235) მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) რელევანტურია საპროექტო ტერიტორიის ფაქტობრივ მახასიათებლებთან. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების 16.3 მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე საშუალო და მაღალი ინტენსივობის ფუნქციური ზონის დადგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილება (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად) შესაძლებელია განხორციელდეს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ამ მუხლით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით. აღნიშნული მუხლის მოქმედება ვრცელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2), სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1), სპეციალური ზონა 2-ის (სპეც-2) და სპეციალური ზონა 3-ის (სპეც-3), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სატრანსპორტო ზონა 3-ის (ტზ-3) ცვლილების შემთხვევებზე შემდეგი ფუნქციური ზონებით: საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 4 - ით (სზ-4), საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5), საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ან საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3). ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადახდა, რომელიც შეადგენს მიწის ნაკვეთის არსებული ფუნქციური ზონით საბაზრო ღირებულებასა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონით საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 30%-ს. სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე, მიუხედავად მესაკუთრის ცვლილებისა, ფუნქციური ზონის ცვლილებისას გადასახდელი ფასი განისაზღვრება არსებული ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებისა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 100%-ის ოდენობით. ეინაიდან მოთხოვნილია მიწის ნაკვეთზე საშუალო და მაღალი ინტენსივობის ფუნქციური ზონის დადგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილება (სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3)) და ამასთანავე საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს მიერ განკარგულ ტერიტორიას, სააგენტოს 2025 წლის 17 აპრილის N61-01251073162 წერილის შესაბამისად ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. №4-ში მდებარე, №01.14.16.009.234 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობის 100% მიმდინარე წლის 15 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 289 500 ლარს. ხოლო, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. №2- ში მდებარე, №01.14.16.009.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1398 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობის 100% მიმდინარე წლის 15 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 269 814 ლარს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N2; N4- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.234; N01.14.16.009.235) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება ფასთაშორის სხვაობის გადახდის (289 500 ლარი; 269 814 ლარი) პირობით მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N99გ/ გ.ჭყონდიდელის ქ.N87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.135) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-

